ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ 2023 წელი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ 2023 წელი.

მოგეხსენებათ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს გენდერული თანასწორობის საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც ამჟამად 20 საბჭოს წევრია. გენდერული თანასწორობის საბჭო არის საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და დებულებით, რომელსაც ამტკიცებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობაა - 20

საბჭოს წევრი ქალების რაოდენობა - 16

საბჭოს წევრი კაცების რაოდენობა - 4

2023 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2023 წლის სამოქმედო გეგმა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2023-2025 წლების საშუალოვადიანი გენდერული თანასწორობის სტრატეგია.

2023 წლის პირველი იანვრიდან დღემდე ჩატარდა გენდერული თანასწორობის საბჭოს 6 სხდომა. სხდომებზე რეგურალურად ხორციელდება გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობისა და მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის ამსახველი კვლევების, პუბლიკაციების, ანალიტიკური მასალების და სხდომის ოქმებისა და გადაწყვეტილებების მიღება.

სოციალური უზრუნველყოფის და ჯანმრთელობის დაცვის კუთხით ხარაგაულის მუნიციპალიტეტი ნამდვილად გამორჩეულია გენდერული თვალსაზრისითაც. აღნიშნულ მუხლში გათვალისწინებულია უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს უფასო სასადილო, რომელმაც მოიცვა დაბა და მიმდებარე თემის სოფლები. პროგრამა ითვალისწინებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უკიდურესად შეჭირვებული, სოციალურად დაუცველი: მოხუცების შშმ პირების, მრავალშვილიანი ოჯახების მორალურ და ეკონომიკურ მხარდაჭერას. მოქალაქეთა

ცხელი სადილით უზრუნველყოფას კვირაში ექვსი დღე ერთჯერადი კვებით დაბის ტერიტორიაზე (სადღესასწაულო დღეების ჩათვლით) ხოლო მუნიციპალიტეტის ოთხ ტერიტორიულ ერთეულში გამზადებული ცხელი საკვების მიწოდება კვირაში ორი დღე ხორციელდება. ასევე აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. ასევე სამსახურის ბაზაზე გახსნილია სოციალური სამრეცხაო და სოციალურად დაუცველებს შეუძლიათ სამრეცხაოს სერვისით სარგებლობა. აღსანიშნავია, რომ ეს სერვისი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისთვის. ხორციელდება არასრულწლოვანთა დახმარების პროგრამა, ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა, სადღესასწაულო დღეებში ხდება სოციალურად დაუცველ და მარტოხელა პირების დახმარება, აგრეთვე მრავალშვილიანი, მარტოხელა მშობლების და მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დახმარება.

მოგეხსენებათ 2023 წელს რამოდენიმეჯერ მოხდა სტიქია და სტიქიის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირების მქონე ოჯახების დახმარება. გენდერული თანასწორობის საბჭოსთან ერთად ყოველწლიულად ხორციელედება აუტიზმის ცნობადობის და დაუნის სინდრომის დღესთან დაკავშირებით საკვები პროდუქტების და ფულადი დახმარებების გაცემა.

წლებია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მოქმედებს ბრაილის შრიფტის პროგრამა, რომელშიც ამჟამად ჩართულია 21 სხვადასხვა სახის შშმ ბენეფიციარი, რომლებიც გადიან სხვადასხვა სახის სწავლებას და მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ბენეფიციარების საზოგადოებაში ინტეგრაციას და გარკვეული ცოდნის და უნარ ჩვევების გამომუშავებას.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო ჩართულია სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში, მათ შორის ინტელექტუალური კონკურსი ,,რა, სად, როდის“, სადაც გამარჯვებული დაჯილდოვდა სპეციალური პრიზით, გამწვანების აქცია ,,დარგე, გაახარე და გაიხარე“, პროექტი ,,ცოცხალი წიგნები“, დედამიწის დღისადმი მიძღვნილი დასუფთავების აქცია ,,მოვარჩინოთ დედამიწა“, ჯომარდობა მდინარე ჩხერიმელაზე. სპორტულ და სამაგიდო თამაშებში გენდერული საბჭოს მიერ დაწესებულ იქნა სპეციალური პრიზები, რომლებიც გადაეცათ გამარჯვებულ მოსწავლეებს, მათ შორის ,,მხიარული სტარტები“, რომელიც ჩატარდა მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით და მონაწილეობა მიიღო ყველა სკოლამ. 23 ივნისს აღნიშნა მსოფლიო ოლიმპიზმის დღე და ბავშვებთან ერთად სპორტის სხვადასხვა სახეობებში მონაწილობა მიიღო გენდერული საბჭოს რამოდენიმე წევრმა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 – 2025 წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია ინსტიტუციური სისტემის ჩამოყალიბება და შესაბამისი ინდიკატორები. საბჭოს სხდომები იმართება რეგულარულად. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობისა და მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის ამსახველი მასალები, კვლევების, პუბლიკაციებისა და ანალიტიკური მასალების გამოქვეყნება ხდება რეგულარულად. მუნიციპალიტეტში ხორციელდება გენდერული თანასწორობის მექანიზმების ჩამოყალიბება, ტრენინგების ჩატარება, რითიც მუშავდება მოსახლეობის საჭიროებათა შესწავლის მეთოდიკა.

მოგეხსენებათ გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მხარდაჭერით საქართველომ უმასპინძლა პოლიტიკურ ფორუმს ადგილობრივი თვითმართველობების წარმომადგენლობისათვის, სადაც ჩართული იყვნენ მუნიციპალიტეტების გადაწყვეტილებების მიმღები პირები და გენდერული საბჭოს წარმომადგენლები. აღნიშნულ ფორუმზე მუნიციპალიტეტებმა გააზიარეს გენდერული თანასწორობის და სოციალური უფლებების გაძლიერებაზე მიმართული წარმატებების ისტორიები. საკრებულოს, მერიის და გენდერული საბჭოს თანმშრომლობით შედგა ის გამოწვევები, რის წინაშეც დგანან ადგილობრივი თვითმართველობები, მოხდა რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც სამომავლოდ ითვალისწინებს სხვადასხვა ინიციატივების განხორციელებას.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო თანამშრომლობს მუდმივმოქმედი გენდერული საპარლამენტო თანასწორობის საბჭოსთან, სხვადასხვა ა/ო ორგანიზაციებთან როგორც ონლაინ შეხვედრებზე, ასევე პირდაპირი მონაწილეობით, სადაც ერთობლივად იგეგმება სხვადასხვა ღონისძიებები, რომელებიც საჭიროა გენდერული განვითარების ინსტიტუციური მექანიზმების განსახორციელებლად.

არასამთავრობო ორგანიზაციების, მეწარმე სუბიექტებისა და სხვადასხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობა მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ განხორციელებულ აქტივობებში რეგულარულად ხორციელდება.

ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს გენდერული საბჭოსთვის წარმოადგენს სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა. ამისათვის ვგეგმავთ აქტიური შეხვედრები მოვაწყოთ ადგილობრივ მოწყვლად ჯგუფებთან და სოფელში მცხოვრებ ქალებთან.

ქალთა უფლებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე სკოლის მოსწავლეების, ახალგაზრდების და სკოლის პედაგოგების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, უნდა ჩატარდეს შეხვედრები და დისკუსიები საჯარო სკოლებში.

2023-2025 წლის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმა ძირითადად მოიცავს:

1) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდრული თანასწორობის მუნიციპალური გეგმის შეფასებას, მონიტორინგსა და ანგარიშგების წესების გასაზღვრას იდენტიფიცირებული საჭიროების გათვალისიწინებით.
2) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანსწორობის ინსტიტუციური მექანიზმების სრულყოფას და სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფას.
3) მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის, საჭიროებათა კვლების ინსტრუმენტის დანერგვას, გენდერულ ჭრილში სტატისტიკური მონაცემის მართვას.
4) გენდერული თანსწორობის სტიმულირებას ადგილობრივი მმართველობისა და თვითმართველობის ორგანოებში.
5) მუნიციპალიტეტის საფინანსო ეკომომიკურ სფეროში გენდერული თანსწორობის უზრუნველყოფა, გენედრული ბიუჯეტის შემუშავება-დანერგვა.
6) გენდერული ასპექტის გათვალისწინებით, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის სპეციალურ მუნიციპალურ პროგრამათა შემუშავება და განხორციელება, რაც თავისთავად მოიცავს ქალებისა და მამაკაცებისათვის საწარმოო რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ბიზნეს საქმიანობაში ქალთა მონაწილეობის გაზრდას, საჭიროებების გამოვლენას, პრაქტიკული უნარების განვითარებას.
7) გენდერული ნიშნით დისკრიმნიაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა ოჯახებში და განსაკუთრებით ქალთა მიმართ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო ატიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მათ შორის რეგიონალური ინიციატივების ცენტრი ,,ნათელი მომავალი“, გერმანიის თანამშრომლობა ,,GIZI”, მმართველობითი სისტემის განვითარების ცენტრი, ქალთა საინფორმაციო ცენტრი და ა.შ.

აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება კონფერენციები, ტრენინგები, სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის ძირითადად ცნობიერების ამაღლება, ქალების საჭიროებების იდინტიფიცირება, ბულინგი და ძალადობა ქალთა მიმართ.

ქალებსა და მამაკაცებს უფლება აქვთ, თანაბრად მიიღონ მონაწილეობა საკუთარი რეგიონის, მუნიციპალიტეტის და თემის მართვაში, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და აქტივობებში. ქალები და მამაკაცები, შვილების გარდა, პასუხისმგებელნი არიან სხვა ადამიანებზედაც და რომ ამ პასუხისმგებლობამ, შესაძლოა, გავლენა იქონიოს მათ შესაძლებლობაზე, სრულყოფილად შეასრულონ თავიანთი სოციალური და ეკონომიკური ვალდებულებები. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, დღეისათვის 64 მუნიციპალიტეტის მერიაშია დანიშნულია გენდერზე მომუშავე პასუხისმგებელი პირი. 58 მუნიციპალიტეტში დამტკიცებულია გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა , ხოლო 30 მუნიციპალიტეტში შექმნილია მუნიციპალური სერვისი ,,ქალთა ოთახი“. ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა, საკუთარი ინიციატივით და მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით ჩაატარა თანამშრომლებისათვის ტრენინგი, გენდერული თანასწორობის საკითხზე. 2022 წლის სექტემბრიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილია „ქალთა ოთახი“ მერის თანაშემწის სამუშაო კაბინეტში.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო სამუშაო რეჟიმში თანამშრომლობს ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებასთან ბავშვთა ძალადობის წინააღმდეგ.

მოგახსენებთ, რომ ქალთა საინფორმაციო ცენტრი გერმანიის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით დაიწყო პროექტი ,,ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების შესახებ არსებული სიტუაციის კვლევა და მათი ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი მეთოდოლოგიის და გზამკვლევის მომზადება“. პროექტი საქართველოს მასშტაბით 6 მუნიციპალიტეტს შორის მიმდინარეობს მიზანია, და მათ შორისაა ხარაგაულის გენდერული თანასწორობის საბჭო. აღნიშნული კითხვარის მიზანია, მუნიციპალიტეტში გატარებული ღონისძიებების შესაბამისად, შესწავლილ იქნას მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობა გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის განვითარებისა და მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით და შემუშავდეს შესაბამისი რეკომენდაციები. საკვლევი საკითხები:

1)მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს ფუნქციონირება;

2) მუნიციპალიტეტის გენდერული სტატისტიკა;

3)მუნიციპალური გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის განხორციელება;

4)გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირის სტატუსი და უფლება-მოვალეობები;

5)მუნიციპალური სერვისი ,,ქალთა ოთახის'' სტატუსი და სერვისები;

6)მუნიციპალიტეტში არსებული სამოქალაქო სექტორის ჩართულობა ადგილობრივ გენდერული პოლიტიკის განხორციელების პროცესში;

7)სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებსა და მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები, პრაქტიკა და გამოწვევები;

8)მუნიციპალიტეტში ინსტიტუციური მექანიზმის დანერგვის მიმართულებით არსებული გამოწვევები და საჭიროებები.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური ადგენს მუნიციპალური სოციალური პროგრამების მოსარგებლეთა რეესტრს , სადაც ზუსტად ჩანს რამდენი ქალი და კაცი ჰყავს ასაკობრივ ჭრილში მოსარგებლე სოციალურ პროგრამებს. ასევე საჯარო მოხელეთა სტატისტიკურ მონაცემებს. მუნიციპალური სოციალური პროგრამების მოსარგებლეთა სტატისტიკა. ვეტერანები, მარტოხელა მშობლები , მარჩენალდაკარგულები, უსახლკაროები, შშმ. პირები, მრავალშვილიანები, ხანდაზმულები;

 მიუხედავად იმისა, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოს აქვს თავისი ბიუჯეტი, ის ჯერ კიდევ ფორმალურია და ვერ ვახდენთ მისი აქტივობების დასაგეგმად გამოყენებას. 2023 წლის ბიუჯეტში ვმუშაობთ, რომ ჩვენთვის საინტერესო პროგრამებში(ახალგაზრდული, სპორტი, განათლება, კულტურა, ჯანდაცვა) ჩავდოთ თანხა გენდერული ხასიათის აქტივობებისთვის და ეს პრობლემა მეტ-ნაკლებას გადაჭრილი გვექნება. გენდერული თანასწორობის ჩვენ გვჭირდება მუდმივი კავშირი ძალასთან, რომელსაც მუდმივად ტონუსში ვეყოლებით, რეკომენდაციების მიღებით, სწავლებით და თემასთან დაკავშირებული განათლების მიღებით . გენდერული თანასწორობის მიღწევა უწყვეტი პროცესია, და მას უწყვეტი მოქმედება სჭირდება.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო აქტიურად არის ჩართული „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სოფლების მოსახლეობის კრებებში. აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით ქალების ჩართულობა 2023 წელს მნიშვნელოვლად გაიზარდა, გენდერული საბჭოს წევრები, ადგილობრივ თვითმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დავესწარით სოფლების კრებებს, სადაც ქალები აქტიურად იყვნენ ჩართული იმ საჭირბოროტო საკითხების მხარდასაჭერად რაც ადგილობრივი თემების წინაშეა. შეხვედრების შემდეგ

გადავიღეთ სამახსოვრო სურათები, რაც დაიბეჭდა და დაურიგდათ მოწყვლად ჯგუფებს.

შემუშავებულია და განსახორციელებელია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 10 დღიანი კამპანიის ღონისძიებების გეგმა, რომელიც ჩატარდება 2023 წლის ნოემბერ დეკემბერში, სხვადასხვა მოდულებით, ეფექტიანი კომუნიკაციით და სტრატეგიით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ განახორციელა პროექტი- არა ძალადობას! ხარაგაულის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სკოლა ჩართული იყო აღნიშნულ პროექტში.

მიუხედავად დიდი მცდელობისა და მონდომებისა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გათვალიწინებული გენდერული თანასწორობის საბჭოს როლი.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ მოქალაქეთა კეთილდღეობის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ საერთო ძალისხმევით და რესურსების გაერთიანებით, სოციალურად მნიშვნელოვან საკითხებზე, სისტემატიური დიალოგით, მოსახლეობის ყველა

ხარაგაულის მერიას და ხარაგაულის გენდერული თანასწორობის საბჭოს თანამშრომლობის კარგი პრაქტიკა აქვს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ,,ქალები ქვეყნის მომავლისთვის“.

ორგანიზაციასთან თანამშრომლობით მოხდა ძალადობის მსხვერპლ ქალებთან მუშაობა, მათი გამოვლენა და ჩართვა მერიის მიერ შეთავაზებულ სოციალური სერვისებში.

ხარაგაულის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები აქტიურად ჩავერთვებით 2024 წლის ბიუჯეტის განხილვაში, რათა მაქსიმალურად გენდერულად მგრძნობიარე, საჭიროებების მქონე ბიუჯეტი მივიღოთ, რაშიც საზოგადოების მხრიდან საჭიროა აქტიურობა და ჩართულობა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის

საბჭოს თავმჯდომარე: დავით კიკნაძე